



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1688

28/03/2019

1688-09-2-201903281749



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გეგზავნებათ, 2018 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაწეული
მუშაობის შესახებ ანგარიში, განსახილველად.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ა. სარიშვილი



ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების, ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის, შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის წესის, მერიისა და მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული აქტების და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შემადგენლობაში შედის როგორც ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, ასევე მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილება, საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილება, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, მუნიციპალური შესყიდვების განყოფილება და მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში (სულ 16) ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში დასაქმებულია 58 თანამშრომელი.

წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში მათ მიერ გაწეულ მუშაობის შედეგებს:

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მიერ გატარებული იქნა ფინანსური 1351 ბრძანება და არაფინანსური 636 ბრძანება, დადგენილება 3; სამსახურმა 2018 წელს უზრუნველყო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, გაუწია სხვადასხვა სახის კონსულტაციები. სამსახურის მიერ გაცემულია 119-ცნობა; მერის მიერ გამოცემული ბრძანების დელეგირების თაობაზე შესაბამისად ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მზადდებოდა სხვადასხვა სახის წერილები და კორესპოდენციები. საკრებულოდან შემოსულ დოკუმენტებსა და საკრებულოს დეპუტატების მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე ადრესატამდე მიტანას კონტროლს უწევდა ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური. რეგისტრაციაში გაატარა მუნიციპალიტეტში შექმნილი „ამხანაგობები“, ასევე შექმნა დოკუმენტაცია საინიციატივო ჯგუფთან დაკავშირებით, შეაგროვა სათანადო ინფორმაცია ლანჩხუთის საპატიო მოქალაქედ ასაღიარებლად დამსახურებულ ადამიანებზე და წარუდგენა მერს. მომართვიანობის შესაბამისად მერს წარუდგინა მივლინებაში წარსაგზავნი მოხელეების კანდიდატურები და მივლინების ბლანკები, მერის თანხმობის შესაბამისად. ხელმძღვანელობდა სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას, ასევე ხელმძღვანელობდა ადმინისტრაციული შენობის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორც სტუმრებისათვის ასევე შიდა ღონისძიებებისათვის. სამსახური ხელმძღვანელობას უწევდა მოქალაქეთა მიღებას მერთან.

2018 წლის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში შემოვიდა : საკრებულოში - 476 კორესპოდენცია და მოქალაქეთა განცხადება. მერიაში- 9810 კორესპოდენცია და მოქალაქის განცხადება.

შემოსული განცხადებები, ძირითადად ეხებოდა მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი შეჭირვებულ ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემას , მოსახლეობის საოპერაციო თანხების დაფინანსებას ,ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფას , მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარების გაწევას , ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილ მეომრების ოჯახების დახმარების პროგრამა, მოსახლეობის მედიკამენტების შეძენის დახმარების პროგრამა,მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გარდაცვლილ მეომრების ოჯახებისათვის სარიტუალო თანხის გაცემას , საცხოვრებელ სახლებსა და მისთვის საჭირო სამშენებლო მასალების შეძენას და სხვა საკითხებს. ზემდგომი ორგანოებიდან მიღებულ კორესპოდენციებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე შესაბამისი სამსახურების მიერ დროულად გაიცა პასუხები.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა - 19 წერილი, რომელსაც კანონით დადგენილ ვადებში გაეცა პასუხები.

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ 2018 წელს გაშუქდა სხვადასხვა სახის ინფორმაცია, როგორც ინფრასტრუქტურულ საკითხებზე, ასევე სოციალურ თემებზე. სოციალური ქსელ ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა“, ინფორმაციას ყოველდღიურად ეცნობოდა 25 ათასზე მეტი მომხმარებელი. გვერდს ჰქონდა ყოველდღიური გამოხმაურება, მოწონება, გაზიარება, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც მას დაემატა ვიდეო მასალები. 2018 წელს ხსენებული გვერდის სტუმრები იყვნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა ქალაქის მაცხოვრებლები, ასევე მისი მეშვეობით ლანჩხუთის შესახებ ოფიციალურ ინფორმაციებს გაეცნენ შემდეგი ქვეყნებიდან: საბერძნეთი, თურქეთი, იტალია, რუსეთი, გერმანია, ბრაზილია, ისრაელი, საფრანგეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი, უკრაინა, ფიჯი, ბელგია, ავღანეთი და ა.შ. სულ 30 ქვეყნიდან. განყოფილების მუშაობის შედეგად სოციალური ქსელის მომხმარებელი გაეცნო ინფორმაციებს ლანჩხუთში მომხდარი სტიქიის თაობაზე (გრიგალი, წყალდიდობა); ასევე ინფრასტრუქტურულ თემებზე (წყლის სათავე ნაგებობის მშენებლობა; შავი საფარის დაგება სოფლებში; სოფლებში ბუნებრივი აირის გაზსადენის გაყვანის სამუშაოების დაწყება, ჯიხეთის დედათა მონასტერთან მისასვლელი გზის მოასფალტება, საფეხბურთო აკადემიის მშენებლობა გვიმბალაურში, ჭადრაკის სახლის მშენებლობა და ა.შ.).

გაშუქდა ინფორმაციები სოციალურ თემებზე (შეჭირვებული მოსახლეობის დახმარება სხვადასხვა პროგრამით). საერთო ჯამში, განყოფილებამ სოციალური ქსელის მეშვეობით საჯარო გახადა 1000-ზე მეტი ინფორმაცია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი Lanchkhuti.Org.Ge. სადაც პროაქტიურად ქვეყნდებოდა საჯარო ინფორმაციები.

ტექსტური და ფოტო მასალების გვერდით დაიწყო ვიდეო მასალების განთავსება, რომელიც გადაეცემოდა როგორც რეგიონულ, ასევე სახელმწიფო ტელევიზიებს. ტელეკომპანია „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „იმედი“, ასევე ტელეკომპანია „გურია“ რეგულარულად აშუქებდნენ ჩვენს მიერ მიწოდებულ მასალებს, რომელიც თავსდებოდა Facebook.com-ის ოფიციალურ გვერდზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა“.

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის კადრების მართვის განყოფილებამ 2018 წელს მერიის საშტატო ნუსხა განისაზღვრა 125 საშტატო ერთეულით, აქედან ადმინისტრაციულ ერთეულებში 41 საშტატო ერთეული : გამგებლის წარმომადგენელი -16, სპეციალისტი - 25. წლის დასაწყისში განხორციელდა ხელფასების მატება. მუნიციპალიტეტს დასაქმების თაობაზე განცხადებით მიმართა 18 მოქალაქე.

2018 წელს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები. რანგირების პროცესი შედეგად გარკვეული შტატები გარდაიქმნა შტატგარეშე პოზიციებად და პირიქით, განხორციელდა შტატგარეშე პოზიციების საშტატო პოზიციებად გარდაქმნა. ამას შედეგად მოყვა ვაკანტური პოზიციების წარმოქმნა რომლებზეც გამოცხდდა კონკურსი.

2018 წლის განმავლობაში გამოცხადდა 58 კონკურსი, მათ შორის, 50 ღია კონკურსი და 8 დახურული. ჩაიშალა 5 კონკურსი. წარმომადგენლის 16 და სპეციალისტის 23 პოზიციაზე შეირჩა კონკურსანტი და განხორციელდა დანიშვნა. ვაკანტურია სპეციალისტის პოზიცია ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში. გარდა ამისა ვაკანტურია 2 საშტატო პოზიცია: მთავარი სპეციალისტი-მესამე რანგი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მუნიციპალური

შესყიდვების განყოფილებაში, წამყვანი სპეციალისტი მესამე რანგი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილებაში.

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში სტაჟირება გაიარა ერთმა მოქალაქემ.

მუნიციპალიტეტის მერიაში ხელშეკრულებით დასაქმებულია 14 საჯარო მოსამსახურე.

1. არქივარიუსი - ინგა მაღლაკელიძე-ორაგველიძე
2. მძღოლი- ელგუჯა გოგუაძე
3. მერის მძღოლი- კახაბერ ნემსაძე
4. დამხმარე მოსამსახურე- ვაჟა ებრაელიძე
5. ტექ. ზედამხედველი- დავით შეიზაშვილი
6. ტექ. ზედამხედველი - აკაკი იმნაძე
7. ტექ. ზედამხედველი - ვახტანგ წილოსანი
8. ტექ. ზედამხედველი- გიორგი ჩხაიძე
9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - ეკა გუჯაბიძე
10. მიწის ლეგალიზაციის კომისიის წევრი -ნატო ორმოცაძე
11. აუდიო - ვიდეო გადაღებისა და მონტაჟის სპეციალისტი-გელა პატარაი
12. გრიგოლეთის ბაზის ადმინისტრატორი - ამირან ცინცაძე
13. გრიგოლეთის ბაზის დარაჯი - ვახტანგ ბუეკალავა
14. გრიგოლეთის ბაზის დამლაგებელი - ცირა ხაბაზიშვილი

2018 წელს ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ ორგანიზება გაუკეთა და საჯარო მოხელეებს გააცნო შეფასების წესი, განხორციელდა მისი დანერგვა. შეფასება განხორციელდა გამოსაცდელი ვადით მიღებულ მოხელეებთან.

2018 წელს განყოფილების მიერ მომზადდა და გაფორმდა 50 არარეგისტრირებულ ხელშეკრულება. მაგთიკომის ქსელში ჩაირთო და განხორციელდა მომსახურება საკრებულოსა და მერიის საჯარო მოხელეებისათვის.

შესყიდვების განყოფილების მიერ, 2018 წლის განმავლობაში, გაფორმებული იქნა 289 ხელშეკრულება სხვადასხვა სახის მომსახურების, ინფრასტრუქტურული სამუშაოების და ინვენტარის (საქონლის) შესაძენად.

2018 წლის განმავლობაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წლიურმა გეგმამ შიადგინა 10 732 416 (ათი მილიონ შვიდასოცდათორმეტიას ოთხას თექვსმეტი) ლარი. საიდანაც ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულმა ხარჯვითმა ნაწილმა შეადგინა 816 683 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შეადგენს 9 915 733 ლარს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების თვალსაზრისით განხორციელებული სამუშაოების ჩამონათვალს წარმოგიდგენთ დანართი N1;N2;N3;N4; და N5 -ის სახით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიერ საერთო გაწეული სამეურნეო ხარჯების ღირებულება შეადგენს 9551 ლარს, საკანცელარიო ხარჯი 10484, წყლების ღირებულება 4844 ლარს, ხოლო სტუმრის ხარჯმა შეადგინა 10100 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული დელეგირების ბრძანების შესაბამისად ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმომადგენლების მიერ ჯამში განხილული იქნა 1300 განცხადება, რომლებიც სეეხებოდა ცნობებს: საცხოვრებელი ადგილიდან, ოჯახის შემადგენლობის თაობაზე, ქონების მოვლა-პატრონობის შესახებ, ხე-ტყის ტრანსპორტირების, გარდაცვალების ოქმებს და შუამდგომლობებს სოციალურ დახმარებებზე. ძირითადად მათი საქმიანობა მიმართული იყო საყანე-ფართობების დათესვასთან, შეწამვლასთან ფაროსანას საწინააღმდეგოდ. დიდია მათი მონაწილეობა სოფელში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან და სტიქიის შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებულ ზარალთან დაკავშირებით. ისინი ახორციელებენ მერის მითითებით საჭიროებს შესაბამისად სხვადასხვა დავალებებს.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებით განსაზღვრული იქნა 2018 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 8757600 ლარით, საფინანსო წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა ათი ცვლილება და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 20250615 ლარი. მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 16984817 ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 252207 ლარით აღემატება. წინა წელთან შედარებით (101,5%-ით), აქედან გრანტის სახით მიღებულია 13337218 ლარი, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 6238600 ლარი, წინა წელთან შედარებით 884400 ლარით მეტი, მიზნობრივი ტრანსფერი 220000 ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები 4515103 ლარი, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურაზე სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებაზე 2262310 ლარი, ასევე სტიქიის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საფინანსო წლის განმავლობაში მიმართულია, 2017 წელში ამ დანიშნულებით ჩამორიცხული 1259104 ლარი. საფინანსო წელში შემოსავლების (კაპიტალურის ჩათვლით) სახით მიღებულია 3647598 ლარი, რაც 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 1078064 ლარით. საშემოსავლო გადასახადის სახით მიღებულია 443789 ლარი, რაც გეგმის 98,6%-ს შეადგენს, ქონების გადასახადის ფაქტიურმა შემოსავლებმა 1993754 ლარი შეადგინა, გეგმა შესრულებულია 122,5 %-ით, მათ შორის საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) 438961 ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) 858324 ლარი შეადგინა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი შემოსულია 174779 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 502679 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 1021622 ლარი, გეგმის შემოსავლები შეადგენს 116,6 %-ს, აქედან მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 135843 ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან 14087 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შემოსულია 9063 ლარი, რაც რეალობას არ ასახავს, ამ კუთხით მთელი რიგი ღონისძიებებია გასატარებელი, კერძოდ პირველ რიგში შესწავლილი უნდა იქნეს თუ რა ფაქტორები უშლის ხელს მოსაკრებლის ბიუჯეტში სრულად შეტანას. ჯარიმები, სანქციები და საურავები მიღებულია 767111 ლარი, არაფინანსური აქტივების კლების შემოსავალმა 188434 ლარი შეადგინა, საფინანსო წელში განხილული იქნა 18573435 ლარის ხარჯი, აქედან მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიიმართა 9841879 ლარი გაწეული ხარჯების 53,0 %-ია, სუბსიდირებისათვის (ა.ა.ი.პ-ბის და შპს-ების) სახით ჩაირიცხა 5580733 ლარი ხარჯების 30,0 %-ი, შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1718416 ლარი, მიმდინარე ხარჯების 19,7 %-ი, შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე 150763 ალრი 1,7 %-ი, მივლინების ხარჯებზე 11051 ალრი, ოფისის ხარჯებზე მიიმართა 201825 ლარი ხარჯების 2,3 %-ი, ტრანსპორტის მოვლა შენახვის და ექსპლოატაციის ხარჯებზე 152163 ლარი შეადგინა, ხარჯების 1,7 %-ი, სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართა 485489 ლარი, მიმდინარე ხარჯების 5,6 %-ი. 53650 ლარი ჩარიცხულია მუნიციპალური განვითარების ფონდის ნაგავმზიდებისა ურნების შეძენაზე აღებული კრედიტის სარგებლის პროცენტი.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის 2018 წლის ანგარიში.

2017 წლის 25 დეკემბრის N47 დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულება, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ სამსახურის შემადგენლობაში შედის:

- ა) სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
- ბ) ქონების მართვის განყოფილების უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
- გ) სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გარემოს დაცვის განყოფილების უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
- დ) ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
- ე) სამსახურის საჯარო მოსამსახურეები

წარმოგიდგენთ აღნიშნული სამსახურის მიერ 2018 წელს განხორციელებულ საქმიანობის ანგარიშს მასში შემავალი განყოფილებების მიხედვით:

ქონების მართვის განყოფილების მიერ სხვადასხვა საკითხზე მომზადებული იქნა:

24 მოხსენებითი ბარათი.

სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოდან შემოვიდა 94 წერილი რომელზედაც პასუხი გაეცა 94 წერილს.

გუბერნიიდან შემოსულია 30 წერილი რომელზედაც პასუხი გაეცა 30 წერილს.

სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და მოსახლეობიდან შემოვიდა 75 წერილი რომელზედაც პასუხი გაეცა 75 წერილს.

ქონების მართვის განყოფილების მიერ მომზადებული იქნა დოკუმენტაცია სახელმწიფო ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოსაცემად რომლის შედეგადაც საკუთრებაში გადმოგვეცა 3(სამი) უძრავი ქონება.

აღრიცხული იქნა და გადაეცა საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს ბალანსზე ასაყვანად ინფრასტრუქტურული სამუშაოების შედეგად შექმნილი ქონება.

მომზადებული იქნა დოკუმენტაცია და გაფორმდა 13(ცამეტი) უზუფრუქტის ხელშეკრულება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონებაზე და 1(ერთი) იჯარა(680 ლარი) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას მიკუთვნებულ გარე განათების ბოძებზე წერტილოვანი მდებარეობის სარგებლობაზე, 1(ერთი) მართვის უფლებით გადაცემა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს (პირობიანი აუქციონის ფორმით, 34900 ლარი), გაიცა 4(ოთხი) საკუთრების მოწმობა(ბინა).

ინტესიურ რეჟიმში ხდებოდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან და სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოსული კორესპოდენციების მიღება(ჯამში 118), დამუშავება და პასუხის გაცემა.

ყოველდღიურ რეჟიმში ხდებოდა სხვადასხვა სამინისტროებიდან, ორგანიზაციებიდან და მოსახლეობიდან მიღებული განცხადებებისა და წერილების განხილვა, საკითხების შესაბამისად წერილების ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან გადაგზავნა და მათ მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათებისა და სამსახურის მიერ დამუშავებული ინფორმაციების შესაბამისად შემოსულ წერილებზე პასუხის გაცემა (ჯამში გადაგზავნილია 680 წერილი).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისათვის მომზადდა საუქციონო მასალები.

გამოცხადებული აუქციონების შედეგად გასხვისდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

- 1) ქ.ლანჩხუთი, ჟორდანია ქ. N 126-ში მდებარე ყოფილი სასტუმროს პირველ სართულზე მდებარე N12 ოთახი(ს/კ 27.06.51.005.01.515), თანხით 25876,2 ლარის ოდენობით.
- 2) ქ.ლანჩხუთი, თავისუფლების ქ. N 4/ გ-ში მდებარე 90 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი(ს/კ 27.06.56.071), თანხით 10350 ლარის ოდენობით.
- 3) სოფ.გვიმბალაურში მდებარე N3 შენობა-ნაგებობა(დემონტაჟი, მიწის გარეშე , ს/კ 27.08.47..030), თანხით 7572 ლარის ოდენობით.
- 4) ქ.ლანჩხუთი, თავისუფლების ქ. N 4/ გ-ში მდებარე 159 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი(ს/კ 27.06.56.070), თანხით 3211,8 ლარის ოდენობით.
- 5) სოფ.შუხუთში მდებარე შენობა-ნაგებობა(დემონტაჟი, მიწის გარეშე , ს/კ 27.05.46.024), თანხით 677,25 ლარის ოდენობით.
- 6) სოფ.ხაჯალიაში მდებარე შენობა-ნაგებობა(დემონტაჟი, მიწის გარეშე , ს/კ 27.14.50.005), თანხით 3050 ლარის ოდენობით.

- 7) ავტომობილი VAZ 21214, სახელმწიფო ნომრით AIA-908, თანხით 3450 ლარის ოდენობით.
- 8) ავტომობილი VAZ 21213, სახელმწიფო ნომრით EM 770 ME, თანხით 1000,5 ლარის ოდენობით.
- 9) ავტომობილი BMW 528 I, სახელმწიფო ნომრით OQO-722, თანხით 1212 ლარის ოდენობით.
- 10) ავტომობილი MERCEDES BENZ 313 CDI, სახელმწიფო ნომრით MFC-557, თანხით 4980 ლარის ოდენობით.
- 11) ავტომობილი MITSUBISHI MONTERO , სახელმწიფო ნომრით OBO-759, თანხით 5476,8 ლარის ოდენობით.
- 12) ავტომობილი TOYOTA LAND CRUISER PRADO 3.0 , სახელმწიფო ნომრით DEK-262, თანხით 6009.6 ლარის ოდენობით.
- 13) ავტომობილი OPEL OMEGA 2.0 , სახელმწიფო ნომრით MQM-005, თანხით 355 ლარის ოდენობით.

რომელთა გასხვისებით მიღებულმა შემოსავალმა ჯამურად შეადგინა 62871, 65 ლარი.

მომზდებული იქნა დოკუმენტაცია და მოწვეული იქნა აუდიტორი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარკვეული მოძრავი და უძრავი ქონების შესაფასებლად რომელთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 18(თვრამეტი) ერთეული.

მომზდებული იქნა დოკუმენტაცია და მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დარეგისტრირდა 13(ცამეტი) ერთეული უძრავი ქონება და კორექტირება გაუკეთდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 14(თოთხმეტ) უძრავ ქონებას(სასაფლაო) .

მომზდებული იქნა დოკუმენტაცია და მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოდან გადმოგვეცა 7(შვიდი) უძრავი ქონება.

სოფლის მეურნეობის და გარემოსდაცვის განყოფილების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობდა „აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის განყოფილება, აქტიურად იყო ჩართული და მონაწილეობდა შეწამვლის დაგეგმვისა და კოორდინაციის პროცესში. განყოფილება წარმოდგენილი იყო ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის შტაბში (აბაშა) დაგეგმილ თათბირებში. უზრუნველყოფდა კოორდინაციას სპეციალური ტექნიკით (ტრაქტორი; სკაუტი;) აღჭურვილ ჯგუფებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შორის რაც უზრუნველყოფდა სამუშაოების დროულად დაწყებას, მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა სამუშაო დღის მაქსიმალურად გამოყენებას.

ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჯამურად მუნიციპალიტეტის მასშტაბით 8310 ჰა დამუშავდა. მათ შორის 2426ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (სახნავი,

სიმინდის ყანა) და მისი მიმდებარე ტერიტორიები. გარდა ამისა, თერმული წისლით დამუშავდა დასახლებული პუნქტები და საკარმიდამო ნაკვეთები რამაც მკვეთრად შეამცირა ფაროსანას პოპულაცია, რის შედეგადაც მოსახლეობის მიერ მიღებული იქნება ხარისხიანი სიმინდის მოსავალი რომელშიც ფაროსანას მიერ მიყენებული ზარალი მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

განყოფილების მიერ მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მონაცემების ბაზებისათვის ოპერატიული ინფორმაციების შეგროვება და დამუშავება. ინფორმაციები მოწოდებულ იქნა ყველა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული ფორმების შესაბამისად. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა და გადაიგზავნა სამინისტროში განსაზღვრულ ვადებში.

2018 წლის 6 ივლისის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების შესახებ უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ N18 ხელშეკრულების საფუძველზე, განყოფილების მიერ მომზადდა და გაფორმდა ხელშეკრულება მონადირეთა ჯგუფთან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რეგულირების მიზნით. აღნიშნულ ჯგუფს უფლება მიეცა 7 მგლის ინდივიდის ბუნებიდან ამოღებაზე.

ეკონომიკის და ტურიზმის განყოფილების მიერ ეკონომიკის განვითარების კუთხით მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო ინვესტიციების ხელშეწყობისათვის, რის შედეგადაც ელ. აუქციონზე მოხდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების განკარგვა, საიდანაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოვიდა 97771,7 (ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას რშვიდას სამოცდათერთმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარი.

2018 წლის ოქტომბერში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც მუნიციპალიტეტი გახდა ევროკავშირის ინიციატივა მერები ეკონომიკური ზრდისთვის კლუბის წევრი. კლუბში გაწევრიანებით მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება ხელმოწერიდან 12 თვის განმავლობაში მოამზადოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა. გეგმის მოსამზადებლად მერის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფთან ერთად ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილება აქტიურად მუშაობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებაზე.

ბოლო პერიოდში გურიაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ტურიზმის განვითარებისათვის, განსაკუთრებით „რა ყოფილა გურია“ პროექტის ფარგლებში. პროექტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროექტები

პროექტის სახელი	ავტორი	მიზანი	ღირებულება
„ტურისტული სუფსა“	კარლო მახარაძე	პროექტის მიზანია გააცოცხლოს მდინარე სუფსაზე ნაოსნობის ტრადიციები თანამედროვე მეთოდებით და განხორციელდეს მდინარეზე ნაგებობის დაშვება - ჯომარდობა. მდინარის ტურისტულად მიმზიდველ ობიექტად ქცევა.	1855
„ ჩამოი ჩვენსას! კაია... “	მაკო ჩხაიძე	აგანის თემში „საქუხიის კანიონის“ პოპულარიზაცია	1538
გურიის (ლანჩხუთის) ტურიზმის განვითარების სტრატეგია, სამომავლო გეგმები და პერსპექტივები.	თამაზ ცინცაძე, ზაზა კილაძე	პროექტის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლების: აგანა, ორაგვე და ჩოჩხათის ტურისტული პოტენციალის მნიშვნელოვანი ხელშეწყობა და ზრდა, რაც შესაბამისად ხელს შეუწყობს მიმდებარე სოფლების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.	1810
ორკარის კანიონის ტურისტულ ობიექტად ქცევა	შორენა გურგენიძე	ორკარის კანიონის დასუფთავება, ვიზიტორებისათვის ადვილად და უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით. პოპულარიზაცია და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა, ტურისტულად მიმზიდველ ადგილად ქცევა.	1992
გურიის საოჯახო სასტუმროების ქსელის განვითარების ხელშეწყობა	ლია მუხაშავერია	საოჯახო ტიპის სასტუმროების ქსელის განვითარების შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა.	1995
გურიის აგრო-ტურისტული ფესტივალი 2018	ა(ა)იპ „გურიის განვითარების კავშირი“, მაია ლომთაძე.	ადგილობრივად წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ასევე ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია, ადგილობრივი სოფლის პროდუქციის და ტურისტული მომსახურების სერვისების მწარმოებლების ცნობადობის ამაღლება და მათი ხელშეწყობა პროდუქციის რეალიზაციასა თუ	3380

		მომსახურების გაწევაში აგრო-ტურისტული ფესტივალის მოწყობით.	
გურული ეთნოგრაფიული კომპლექსის რეაბილიტაცია აღდგენა მემორიალურ ექსპოზიციაში	ა(ა)იპ „არტბრიჯი 2015“, გიორგი ფირცხალაიშვილი	ეგნატე ნინოშვილის მემორიალური მუზეუმის სრულყოფისთვის საჭიროა ეთნოგრაფიული კომპლექსის რეაბილიტაცია აღდგენა	4740
ელანძე! ლანჩხუთი - სამ დღეში	„ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრი“, დავით გოგიჩაიშვილი	ლანჩხუთის, როგორც ტურისტულად საინტერესო და მიმზიდველი ლოკაციის პოპულარიზაცია და ცნობადობის გაზრდა - ინტერნეტ-ტექნოლოგიებისა და ვიზუალური ეფექტების გამოყენებით, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით, იაფად და მარტივად.	4690

რომელთა დაფინანსების საერთო ჯამური რაოდენობამ შეადგინა 22000 ლარი. განყოფილება ზედამხედველობას უწევდა აღნიშნული პროექტების მიმდინარეობას.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობს „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ქმედებების შედეგად, კერძოდ, მიწის მესაკუთრეთა ნაკვეთებზე, მათი შემდგომი დარეგისტრირების მიზნით, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მიერ შევსებული „ადგილზე დათვალიერების ოქმების გადაგზავნა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 4545 ოქმს.

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

აღნიშნული სამსახური შედგება ორი განყოფილებისგან: სივრცითი მოწყობის განყოფილება და ინფრასტრუქტურის განყოფილება. სივრცითი მოწყობის განყოფილებაში დასაქმებულია 4 თანამშრომელი, რომლებიც დაკავებული არიან: ურბანიზაციისა და სივრცითი დაგეგმარების საკითხებით, მშენებლობის ნებართვებით, შეთანხმებებისა და ექსპლუატაციაში მიღების საკითხებით. ინფრასტრუქტურის განყოფილებაში დასაქმებულია 5 თანამშრომელი, რომლებიც დაკავებული არიან მუნიციპალიტეტის მაშტაბით

განხორციელებული ყველა სახის მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის დამუშავებით. ასევე განყოფილება მუშაობს ყველა სახის დასკვნებისა და დეფექტური აქტების მომზადებაზე, რომლებიც შეიცავს მოსახლეობიდან შემოსულ თხოვნებს, ასევე წარმოებული მშენებლობების მდგომარეობას. სივრცითი მოწყობის განყოფილების მიერ 2018 წლის განმავლობაში გაცემულია მშენებლობის 32 ნებართვა, შეთანხმდა 49 პროექტი, ექსპლუატაციაში აყვანილ იქნა 12 ობიექტი. ამავე განყოფილებიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით შემოვიდა 10614 (ათიათას ექვსასთოთხმეტი) ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური ასევე აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული თხოვნაგანცხადებების აღრიცხვას, კონტროლსა და მათზე რეაგირების საქმეს. 2018 წლის განმავლობაში აღნიშნულ სამსახურში მოსახლეობიდან შემოვიდა 695 განცხადება, რომელთაგან მომზადდა 600 დასკვნა, დამუშავების სტადიაშია 95 განცხადება.

ინფრასტრუქტურის განყოფილებას, 2018 წლის განმავლობაში დაპროექტებული აქვს 257 ობიექტი, საერთო ღირებულებით 7 882301 (შვიდი მილიონ რვაასოთხმოცდაორიათას სამასერთი) ლარი. ამათგან: 1. სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების 346 პროექტი ღირებულებით 5 716 660 (ხუთიმილიონ ქვიდასჩვიდმეტიათას ექვსასსამოცი) ლარი. 2. 2018 წელს ინფრასტრუქტურით გათვალისწინებული ობიექტების 22 პროექტი ღირებულებით 10 644 399 (ათიმილიონ ექვასორმოცდაოთხიათას სამასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი. 3. 2018 წელს სამშენებლო მასალით დახმარება გაეწიათ, სტიქიის შედეგად დაზიანებულ 458 საცხოვრებელ სახლს, აქედან დაიხურა 51 საცხოვრებელი სახლი, 2 ადმინისტრაციული შენობის სახურავი და 1 საბავშვო ბაღის სახურავი. აღნიშნული სამუშაოების გარდა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური კონტროლს უწევს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მშენებლობებს მათი ხარისხიანად შესრულების მიზნით.

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

2018 წელს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად, წარმატებით განხორციელდა სოციალურ-კულტურული პროგრამებით დაგეგმილი ღონისძიებები :

შემოქმედთა წახალისების პროგრამა

2018 წლის 21 თებერვალს, ქ. ზესტაფონში გაიმართა სპექტაკლი, ანტონ ჩეხოვის „თოლია“. პრემიერაში მონაწილეობდა, ლანჩხუთის მკვიდრი, თემურ ფირცხალაიშვილი, რომელსაც მიენიჭა წლის საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი ვაჟის წოდება, როლისათვის- „კონსტანტინ ტრეპლევია“. ამ მიღწევისათვის თემურ ფირცხალაიშვილი წახალისდა ფულადი ჯილდოთი, სულ 375 (სამას სამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.

2018 წლის 01 მაისს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა „2017-2018 სასწავლო წლის ლანჩხუთის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი კონკურსი. კონკურსის გამარჯვებული, „ლანჩხუთის ეტალონი მოსწავლე“ გახდა წყალწმინდის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე თინათინ კვაჭამე, მეორე ადგილზე გავიდა ღრმაღელის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე - ტარიელ კვერენჩილაძე, ხოლო მესამე ადგილზე - ლესის საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ირაკლი გალოგრე. გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდო, სულ 1250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარი.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, სარეაბილიტაციო დღის ცენტრ იავნანას და ლესის მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს საჩუქრად გადაეცათ ტკბილეული (32 შეკვრა) სულ 800 (რვაასი) ლარის ღირებულების.

2018 წელს საქართველოს სპორტული ცეკვების ფედერაციის და WDSF-ის გაერთიანებაში არსებული სტუდია „მარცა“-ს მოცეკვავეებმა თეკლე და ლუკა გოგუაძეებმა, ქ. რუსთავეში სპორტული ცეკვის კონკურსში მოიგეს გიორგი რიჭამაძის თასი. მოცეკვავეები წახალისდნენ ფულადი ჯილდოთი 375 (სამას სამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით. 2018 წელს საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მეოთხე ეროვნულ კონკურსზე, ა(ა)იპ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხუბუნაიშვილების სახელობის სიმღერა-გალობის სკოლის გუნდს მიენიჭა ლაურიატის წოდება კატეგორიაში ქართული ხალხური სიმღერა B-a-3 და დაჯილდოვდა ოქროს მედლით. სკოლის გუნდი აღნიშნული წარმატებისთვის წახალისდა ფულადი ჯილდოთი 1000(ათასი) ლარის ოდენობით. 2018 წელს 11 ივლისს ქ. ბათუმში,საზაფხულო თეატრში , საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე „აგიდელა და აგუნა“,ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის გაერთიანებათა დაწესებულების დაქვემდებარებაში არსებული თანამედროვე ცეკვების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი ირაკლი ჩახვამძე და მოცეკვავეები დაჯილდოვდნენ ოქროს მედლით.აღნიშნული წარმატებისათვის მოცეკვავეები წახალისდნენ ფულადი ჯილდოთი 1250 (ათას ორას ორმოცდაათი)ლარის ოდენობით. 2018 წლის 22 ნოემბერს ქ.ქობულეთში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში„არტ-ფესტი“ ა(ა)იპ ლანჩხუთის კულტურის გაერთიანებაში არსებული „ეგ.ნინოშვილის სახელობის თეატრის მსახიობები და თანამშრომლები დაჯილდოვდნენ შემეგ ნომინაციებში: საუკეთესო რეჟისორი-დავით წერეთელი; საუკეთესო ქორეოგრაფი-ირაკლი ჩახვამძე;საუკეთესო მხატვარი-შოთა ჭყონია;საუკეთესო პლასტიკა- ქრისტინა ლორია, ანა ურუშაძე .გურამ იმნაძე, ბაჩო ხუბუნაიშვილი და ირაკლი კალანდარიშვილი,წარმატებულ საქმიანობასთან დაკავშირებით.ზემოთხსენებული შემოქმედი ადამიანები წახალისდნენ ფულადი ჯილდოთი თითოეული 100 ლარის ოდენობით. სულ ჯამში 1250(ათას ორას ორმოცდაათი) ლარი. 2018 წელს ლანჩხუთის „მარიკა ორაგველიძის“სახელობის სამუსიკო სკოლის, სუფსის სამუსიკო სკოლისა და ვილი ბარამიძის სახელობის სამხატვრო სკოლის 7(შვიდი) პედაგოგი:რუსუდან სიხარულიძე, ლალი გავაშელაშვილი,მაია ჩავლეიშვილი,ნინო მოისწრაფეშვილი,სოფო ჭანტურია, ჯამბულ ჯიბლაძე წახალისდნენ ფულადი ჯილდოთი წარმატებული და ნაყოფიერი საქმიანობისათვის 100 (ასი) ლარის ოდენობით,სულ ჯამში 875(რვაას სამოცდათხუთმეტი) ლარი. 2018 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებმა,თენგიზ პატარაიამ „ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოიპოვა სასწავლო გრანტი 100%, ხოლო ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებმა მარინე სიხარულიძემ, 2018 წლის სამაგისტრო გამოცდებზე მოიპოვა 100% სასწავლო გრანტი.გრანტის მფლობელები წახალისდნენ ხელზე ასადები 1000(ათასი) ლარის ოდენობით,სულ 2500(ორიათას ხუთასი) ლარი.

2018 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო სკოლის პედაგოგი ბატონი,ლადო აფხაზავა გახდა გლობალური მასწავლებლის კონკურსის ფინალისტი. ის არის 2017 წლის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ მფლობელი.მიღწეული წარმატებისთვის ლადო აფხაზავა წახალისდა 625 (ექვსასოცდახუთი) ლარის ოდენობით.

სამსახურმა შეიძინა 1200 ლარის ღირებულების სასაჩუქრე წიგნები, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებებზე გადაცემული იქნა წარმატებული მონაწილეებისა და კოლექტივებისათვის.

2018 წელს სამსახურის მიერ შეძენილი იქნა 94 ლარის ღირებულების ყვავილები, რომელიც გადაეცა წარმატებულ შემოქმედ ადამიანებს.

ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა ამ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი გახდა სხვადასხვა კულტურულსაგანმანათლებლო ღონისძიებებზე მონაწილეების ტრანსპორტირებით დახმარება - 2018 წლის 23 მარტიდან 01 აპრილის ჩათვლით, ქ. თბილისში გაიმართა კლასიკური მუსიკის 11-ე საიუბილეო რესპუბლიკური ფესტივალის შესარჩევი ტური, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ლანჩხუთის მ. ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა. დაფინანსდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება, სულ: 1090 ლარი. 2018 წლის 8 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე გაიმართა ტრადიციული სახალხო ღონისძიება „ლელო“, სადაც გაიმართა კულტურული ღონისძიება ქ. ბათუმში მოღვაწე ბენდი -, black sea, „-ს მონაწილეობით. დაფინანსდა მათი ტრანსპორტირება, სულ : 600 (ექვსასი) ლარი. (ერთი მიკროავტობუსი), სულ: 600 ლარი.

2018 წლის 03 მაისს, ქ. თბილისში სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა კონკურსი „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო სუფსის საჯარო სკოლის ორმა გუნდმა „ელია“ და „იბერია“. დაფინანსდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება 600(ექვსასი)ლარით.

2018 წლის 12 მაისს ქ.თბილისში N166 საჯარო სკოლაში გაიმართა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მეოთხე ეროვნულ კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხუხუნაიშვილების სახელობის სიმღერა-გალობის სკოლის გუნდმა. დაფინანსდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება, სულ:1027 (ათას ოცდაშვიდი) ლარი. 2018 წლის 19-20 მაისს, ქ.ყვარელში ილიას ტბაზე გაიმართა ფოლკლორული და საესტრადო ანსამბლების ფესტივალ-კონცერტი, აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაქვემდებარებაში არსებულმა კულტურის ცენტრის ჯურუყვეთის განყოფილების ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ქართული სული“. დაფინანსდა ანსამბლის ტრანსპორტირება, სულ : 1027 (ათას ოცდაშვიდი) ლარი. 2018 წლის 23 ივნისს, სსიპ N3 საჯარო სკოლამ, განახორციელა საგანმანათლებლო პროექტი სახელწოდებით - „დავით გარეჯის სამონატრო

კომპლექსი“. დაფინანსდა სკოლის ტრანსპორტირება, თანხა სულ: 741 (შვიდას ორმოცდაერთი) ლარი.

2018 წლის 26 ივნისს, ქ. თბილისში, რუსთაველის თეატრში ჩატარდა, საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ ფინალური შოუკონკურსი. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეტალონი“ მოსწავლემ და წყალწმინდის საჯარო სკოლამ. დაფინანსდა მოსწავლეების ტრანსპორტირება, თანხა სულ: 585 (ხუთას ოცხმოცდა ხუთი) ლარი.

2018 წლის 5 ივლისს, ქალაქ ქობულეთში, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა საბავშვო და ახალგაზრდული საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა, „სამეზამ“. დაფინანსდა ანსამბლის ტრანსპორტირება; სულ: 260 ლარი. 2018 წლის 8 ივლისს ქ. ბათუმში გაიმართა, საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი „კაკასია-2018“. აღნიშნულ

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიულმა სტუდია „ფერხულმა“. დაფინანსდა ტრანსპორტირება თანხა სულ : 260 (ორას სამოცი) ლარი.

2018 წლის 28 ივლისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში ჩატარდა „საქართველოში აგრო -მიმართულების საერთაშორისო გამოფენა“. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „მხედრებმა“. დაფინანსდა ანსამბლის ტრანსპორტირება, თანხა სულ: 80 (ოთხმოცი) ლარი. 2018 წლის 2 აგვისტოს, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმში ჩატარდა „ილიაობის“ დღესასწაული, აღნიშნული ღონისძიების მასპინძელი იყო გურიის რეგიონი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „მხედრებმა“. დაფინანსდა ანსამბლის ტრანსპორტირება თანხა სულ : 974 (ცხრაას სამოცდათოთხმეტი) ლარი. 2018 წლის 11 აგვისტოს, სოფელ შინდისში 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების მემორიალს პატივი მიაგეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან ხელისუფლების წარმომადგენლებმა და გმირების ოჯახის წევრებმა. დაფინანსდა მათი ტრანსპორტირება თანხა სულ: 443 (ოთხას ორმოცდასამი) ლარი.

2018 წლის 12 სექტემბერს, ქ. ბათუმში გაიმართა კლასიკური მუსიკის ფესტივალის დასკვნითი საღამო. აღნიშნულ ფესტივალს დაესწრო ლანჩხუთის მ. ორაგველიძის სახელობის და სუფსის სამუსიკო სკოლის წარმატებული მოსწავლეები. დაფინანსდა ტრანსპორტირება. სულ: 122 (ას ოცდაორი) ლარი.

2018 წლის 13 ოქტომბერს ქ.თბილისში, გაიმართა ინტელექტუალური თამაშის „რა, სად, როდის“ ფინალური ტური , აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ქ.ლანჩხუთის N2 საჯარო სკოლის გუნდმა.დაფინანსდა სკოლის ტრანსპორტირება, თანხა სულ: 520 ლარი.

2018 წლის 12 ოქტომბერს,ქ.ოზურგეთში ჩატარდა რეგიონალური ფოლკლორული ფესტივალი„ფუძეობა-ალეგრობა 2018“.ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ანსამბლმა „აცაურა“-მ. დაფინანსდა ღონისძიებაზე ანსამბლის ტრანსპორტირება.თანხამ შეადგინა 127.68 ლარი.

2016 წლის ოქტომბერში,საჩხერის მუნიციპალიტეტში ჩატარდა, სრულიად საქართველოს მეექვსე ფესტივალი-„ქართული საგალობლები“.აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ა(ა)ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ანსამბლმა„მხედრებ“-მა. ტრანსპორტირების თანხამ შეადგინა-376 (სამას სამცდათექვსმეტი) ლარი.

კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა

2018 წლის 01 მაისს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა „2017-2018 სასწავლო წლის ლანჩხუთის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი კონკურსი. პროექტის ღირებულება 2 960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარი.

2018 წლის 15-30 მაისს, ქ. ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლაში ჩატარდა საგანმანათლებლო პროექტი -„ჩვენ და უცხო ენები“. აღნიშნული პროექტი დაფინანსდა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

2018 წლის 19 აგვისტოს, კურორტ ბახმაროში ჩატარდა „ბახმაროს სან- სეტ ფესტივალი“.რომლის დაფინანსებამ შეადგინა 700 (შვიდასი) ლარი.

□ სოც-კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზების პროგრამა 8 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე გაიმართა ტრადიციული სახალხო ღონისძიება „ლელო“. ღონისძიების ორგანიზების თანხა:3 970 (სამი ათას ცხრაას სამოცდაათი) ლარი.

2018 წლის 24 ივნისს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. არჩეულში, ეგნატე ნინოშვილის სახლმუზეუმში ჩატარდა ფოლკლორული ფესტივალი „არტ-გენი“. სულ 24 544 (ოცდაოთხათას ხუთას ორმოცდაოთხი) ლარი.

სულ, განათლების და კულტურის განყოფილების მიერ 2018 წლის განმავლობაში დაიხარჯა 54431 ლარი საჩუქრების და პრიზების შეძენის პროგრამა

მიმდინარე წელს ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები: სახალხო დღესასწაული „ლელო ბურთი“, 26 მაისი - დამოუკიდებლობის დღე, „ჩიბათობა“, „ჯურუყვეთობა“ . აღნიშნულ ღონისძიებებზე გაიმართა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, რისთვისაც ტენდერის ფარგლებში შეძენილ იქნა თასები, მედლები და სიგელები. თანხა საერთო ჯამში შეადგენს 2000 (ორი ათასი) ლარს.

მიმდინარე წელს ჩატარდა ღრმადელის ადმინისტრაციული ერთეულის ყოველ წლიური ტრადიციული ღონისძიება სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ასევე ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, რამოდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში (ქალაქი, სუფსა, ჩოჩხათი, მამათი, შუხუთი, , აცანა, გვიმბალაური, აკეთი, ლესა) რისთვისაც ტენდერის ფარგლებში შეძენილ იქნა თასები და მედლები.. თანხა საერთო ჯამში შეადგენს 669,56 (ექვსას სამოცდაცხრა ლარი და ორმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარს.

2018 წელს დაიწყო „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ ახალი სეზონი. 01 ოქტომბრიდან-25 დეკემბრამდე დაგეგმილია სპორტული შეჯიბრებები სამ სახეობაში. რისთვისაც ტენდერის ფარგლებში შეძენილ იქნა სიგელები. თანხა საერთო ჯამში შეადგენს 86 (ოთხმოცდაექვსი) ლარს.

ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა

6 თებერვალს, ჩიბათის საჯარო სკოლაში, მასწავლებელ ლადო აფხაზავას ინიციატივით, განხორციელდა პროექტი, „შეჭამე ბოსტნეული და არა შენი თანაკლასელი“. აღნიშნული პროექტის თანადაფინანსებამ შეადგინა 500 (ხუთასი) ლარი. აქედან ხელზე ასაღები პროგრამით გათვალისწინებული თანხა შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს.

15 მაისს, №1 საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის ინიციატივით, განხორციელდა პროექტი, „ფერების ფესტივალი“, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ სკვერში. აღნიშნული პროექტის თანადაფინანსებამ შეადგინა 500 (ხუთასი) ლარი. აქედან ხელზე ასაღები პროგრამით გათვალისწინებული თანხა შეადგენს 400 (ლარს).

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ჩატარების პროგრამა

2018 წელს ჩატარდა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“ და „სპორტი ბარიერების გარეშე“, სპორტის 8 და 4 სახეობაში გოგონებსა და ვაჟებს შორის, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა მუნიციპალიტეტის 18 საჯარო, 6 საბაზო სკოლის, ასევე 1 სასულიერო გიმნაზიის 2002-2004 წელს

დაბადებული ბავშვები. რისთვისაც ტენდერის ფარგლებში შეძენილ იქნა თასები, მედლები და სიგელები. თანხა საერთო ჯამში შეადგენს 1500 (ათას ხუთასი) ლარს.

მიმდინარე წელს ჩატარდა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“ და „სპორტი ბარიერების გარეშე“, სხვადასხვა სახეობებში. აღნიშნული ღონისძიებების გასამართად შეძენილი იქნა სხვადასხვა სპორტული საქონელი. თანხა ჯამში შეადგენს 460 (ოთხას სამოცი) ლარს.

მიმდინარე წელს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გაიმართა სპორტული ღონისძიებები სხვადასხვა სახეობებში. აღნიშნული ღონისძიებების ჩასატარებლად შეძენილი იქნა სპორტული საქონელი. თანხა საერთო ჯამში შეადგენს 515 (ხუთას თხუთმეტი) ლარს.

2018 წლის 01 ოქტომბრიდან დაიწყო „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ 2018-2019 წლების ახალი სეზონი. მიმდინარე წელს დაგეგმილია სპორტული ღონისძიებები სამ სახეობაში (მინი ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი). აღნიშნული ღონისძიებების ჩასატარებლად შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის სპორტული საქონელი. თანხა გავიდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაციის პროგრამიდან. თანხა ჯამში შეადგენს 427 (ოთხას ოცდაშვიდი) ლარს.

2018 წლის 01 ოქტომბრიდან დაიწყო „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ 2018-2019 წლების ახალი სეზონი. მიმდინარე წელს, დაგეგმილია სპორტული ღონისძიებები სამ სახეობაში (მინი ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი). აღნიშნული ღონისძიებების ჩასატარებლად შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის სპორტული საქონელი. თანხა ჯამში შეადგენს 1875 (ათას ოთხას სამოცდათხუთმეტი) ლარს.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაციის პროგრამა

14 ივნისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აღინიშნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე. აღნიშნული ღონისძიება განახორციელა ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორმა“ მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით. ღონისძიების ფარგლებში მოხდა ფილმების ჩვენება და მოწვეული სტუმრების გამასპინძლება. თანხა ჯამში შეადგენს 300 (სამასი) ლარს.

21 მარტს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აღინიშნა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე. აღნიშნული ღონისძიება განახორციელა ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორმა“ მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით. ღონისძიების ფარგლებში მოხდა ფლაერების დამზადება, ფასიანი საჩუქრების შეძენა, სტუმრების სადილით გამასპინძლება და მათი ტრანსპორტირება. თანხა ჯამში შეადგენს 1470 (ათას ოთხას სამოცდაათი) ლარს.

01 ოქტომბრიდან დაიწყო „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ 2018-2019 წლების ახალი სეზონი. მიმდინარე წელს დაგეგმილია სპორტული ღონისძიებები სამ სახეობაში (მინი ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი). აღნიშნული ღონისძიებების ჩასატარებლად შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის სპორტული საქონელი. თანხა ჯამში შეადგენს 427 (ოთხას ოცდაშვიდი) ლარს.

03 დეკემბერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აღინიშნა, შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე, ღონისძიებით „ყველაფერი ჩვენზე, ჩვენთან ერთად“. აღნიშნული ღონისძიება განახორციელა ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორმა“ მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით. ღონისძიების ფარგლებში მოხდა ფლაერების დამზადება, მოკლე მეტრაჟიანი ფილმების ჩვენება, მოწვეული სტუმრების გამასპინძლება. თანხა ჯამში შეადგენს 770 (შვიდას სამოცდაათი) ლარს.

ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის პროგრამა

მიმდინარე წელს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გაიმართა სპორტული ღონისძიებები სხვადასხვა სახეობებში. რისთვისაც ტენდერის ფარგლებში შეძენილ იქნა თასები და მედლები. თანხა საერთო ჯამში შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს.

მიმდინარე წელს ჩატარდა, ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის ყოველ წლიური, ტრადიციული ღონისძიება, სპორტის სხვადასხვა სახეობებში. გამარჯვებული მონაწილეების

დასაჯილდოებლად, ტენდერის ფარგლებში შეძენილ იქნა სიგელები. თანხა საერთო ჯამში შეადგენს 97,50 (ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს.

